საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/5013
05/09/2022

5013-21-2-202209051638

შპს „ჩალიკ ჯორჯია ვინდს“
მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N129ა
ელ. ფოსტა: info@calikgeorgia.com;
murat.ozkan.@calikenerji.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2022 წლის 16 აგვისტოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი N4104 განცხადება, რომელიც ეხება გორის და კასპის მუნიციპალიტეტებში, სს ,,ჩალიკ ჯორჯია ვინდის“ მიერ საპროექტო ,,ნიგოზა-110“ ქვესადგურის გორი-220“ ქვესადგურთან დამაკავშირებელი 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და გაცნობებთ შემდეგს:

- ვინაიდან დაგეგმილი საქმიანობა ტყის ტერიტორიაზე ხორციელდება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საჭიროა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში გათვალისწინებული იყოს ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” მე-10 მუხლის, მე-4 ნაწილის შენიშვნის, ,,საქართველოს ტყის კოდექსის” მე-13 მუხლის, ასევე, „ტყის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტისა და ტყის საზღვრების დადგენისა და კორექტირების/შეცვლის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 6 ოქტომბრის 496-ე დადგენილების მე-13 მუხლის მოთხოვნები. ტყის სტატუსის შეწყვეტის მოთხოვნის შემთხვევაში, საჭიროა, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ იქნას ინფორმაცია: რატომ არის საჭირო ტყის სტატუსის შეწყვეტა საქმიანობის შინაარსიდან გამომდინარე; რატომ არის შეუძლებელი აღნიშნული საქმიანობის განხორციელება განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის ფარგლებში; საჭიროა, წარმოდგენილ იქნას ეკონომიკური მიზანშეწონილობის და სატყეო ფართობზე მოსაწყობი ინფრასტრუქტურის შესახებ დეტალური ინფორმაცია; გზშ-ის ანგარიშში საპროექტო ეგხ-ის დერეფნის ალტერნატივების შერჩევისას სათანადოდ უნდა იქნეს დასაბუთებული ეგხ-ის შერჩეული დერეფნის უალტერნატივობა და

შესაძლებლობის შემთხვევაში, შემოთავაზებულ იქნას სხვა ალტერნატიული ვარიანტი, რომელიც არ მოიცავს ტყის ტერიტორიას;

- ზურმუხტის ქსელზე ზემოქმედების შეფასება არ არის სათანადოდ წარმოდგენილი. ზზშ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იყოს განხილული კვერნაკის საიტზე არსებულ ჰაბიტატებზე და იქ გავრცელებულ სახეობებზე ზემოქმედება, შემარბილებელი და ან საკომპენსაციო ღონისძიებები შესაბამისი დასაბუთებით (ინფორმაციისა და ცხრილის სახით). ასევე, აღწერილი უნდა იყოს საველე კვლევის ხანგრძლივობა/პერიოდი, მეთოდები და შედეგები;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო 110 კვ. ელექტროგადამცემი ხაზი ,,ნიგოზას" ტრასის ფარგლებში არსებობს სხვა ელექტროგადამცემი ხაზები და ქარის ელექტროსადგურები, რაც მნიშვნელოვანია კუმულაციური ზემოქმედების კუთხით, თუმცა მონიტორინგის გეგმაში კუმულაციურ ზემოქმედებაზე დაკვირვების საკითხი არ არის მოცემული, რაც საჭიროებს დაზუსტებას; ასევე მონიტორინგის ანგარიშში დასაბუთებას და დაზუსტებას საჭიროებს ფრინველებზე და მათ ბუდეებზე/საცხოვრებელ ადგილებზე, მათ შორის ფასკუნჯის ბუდეებზე მონიტორინგის ხანგრძლივობა;
- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია - ,,საკვლევ ტერიტორიაზე, ელ. გადამცემის ხაზის გასწვრივ, ანძების სიახლოვეს საშიში გეოდინამიკური პროცესების ჩასახვა–განვითარების კვალი არ ფიქსირდება, უბანი მდგრადია და მშენებლობისათვის მისაღებია. საკვლევი ტერიტორიის მიღმა (მოშორებით) საშიში გეოდინამიკური პროცესებიდან გავრცელებულია ხევებში და ხეობებში ფართობული და ხაზობრივი ეროზიები, მდინარის ორივე მხარეს გავრცელებულის გვერდითი ეროზია." თუმცა, როგორც სკოპინგის დასკვნით გეცნობათ, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში დაცული ინფორმაციით, სოფ. ნადარბაზევის მიმდებარედ, საპროექტო ანძები: №6; №7; №8; №9; №10 და №11 მდებარეობენ ძველმეწყრული სხეულის არეალში. შესაბამისად, აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს აღნიშნული ანძების სამშენებლო მოედნების საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევაზე და აღნიშნული კვლევა წარმოდგენილი იყოს გზშ-ის ანგარიშში;
- გზშ-ის ანგარიშში მოცემულია ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაცია, კერძოდ თავში 1 მითითებულია, რომ ადგილმდებარეობის სიმაღლეთა დიაპაზონი მერყეობს ზღვის დონიდან 563 მ.-1444 მ. შორის (გვ. 7), ხოლო თავში 5.2 აღნიშნულია, რომ აბსლუტური სიმაღლეები მერყეობენ 563,5-1043 მ-ის ფარგლებში (გვ. 35). შესაბამისად, ზემოაღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას;
- გზშ-ის ანგარიშზე თანდართულ მასალებში არ არის წარმოდგენილი საპროექტო ნაპირსამაგრი გაბიონების, ეგხ-ის ბუფერის და სამშენებლო ბანაკთან მისასვლელი გზების Shp ფაილები;
- N22 სკოპინგის დასკვნის თანახმად, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული საკითხების შესაბამისად (ერთიანი ცხრილის სახით), რაც დოკუმენტაციაში არ არის წარმოდგენილი;
- გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს სამშენებლო ბანაკების წყალმომარაგებისა და ჩამდინარე წყლების მართვის შესახებ ინფორმაცია.

სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით კორექტირებული გზშ-ის ანგარიშისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ განსაზღვრული სრულყოფილი დოკუმენტაციის სააგენტოში წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო